



2023

შპს „პიქსელ აუთდორი“

ფინანსური ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

სარჩევი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

2-4

ფინანსური ანგარიშგება

სრული შემოსავლის ანგარიშგება

5

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

6

საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება

7

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

8

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. კომპანია და მისი საქმიანობა	9
2. მომზადების საფუძველი	9
3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა	10
4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები	16
5. შემოსავალი	16
6. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	17
7. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	17
8. შემოსავალი/(ზარალი) სავალუტო ოპერაციებიდან, წმინდა	17
9. სხვა არასაოპერაციო შემოსავალი/(ხარჯი)	17
10. ძირითადი საშუალებები	18
11. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	19
12. გადახდილი ავანსები	19
13. მარაგები	20
14. ფული და ფულის ეკვივალენტი	20
15. მიღებული სესხები	20
16. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	21
17. მიღებული ავანსები	21
18. საგადასახადო ვალდებულებები	21
19. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან	21
20. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები	22

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „პიქსელ აუთდორი“-ს მფლობელებსა და ხელმძღვანელობას

დასკვნა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

პირობითი მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ აუდიტი შპს „პიქსელ აუთდორი“-ს (შემდგომში „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგებისა, რომელიც მოიცავს 2023 წლის 31 დეკემბრისთვის მომზადებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას, ამავე თარიღით დასრულებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგებას, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებასა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებას, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართულ განმარტებით შენიშვნებს, მათ შორის არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკების შეჯამებას.

ჩვენი აზრით, ჩვენი დასკვნის ნაწილში - „პირობითი მოსაზრების საფუძველი“ აღწერილი საკითხების გავლენით განპირობებული შესაძლო შედეგების გარდა, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2023 წლის 31 დეკემბრისთვის, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულად ნაკადებს აღნიშნული თარიღით დასრულებული წლისთვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების მცირე და საშუალო საწარმოებისთვის (მსს ფასს) შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

ჩვენ კომპანიის აუდიტორებად დავინიშნეთ 2023 წლის 29 დეკემბერს, შესაბამისად ვერ დავესწარიტ მარაგების ინვენტარიზაციას 2022 და 2021 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით. ჩვენ ვერც ალტერნატიული პროცედურებით მოვახერხეთ მოგვეპოვებინა საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულება 2022 და 2021 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის მარაგების ოდენობის სისრულესა და არსებობაზე, რომელიც ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია 30,494 ლარით, ხოლო 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 24,875 ლარით. აღნიშნულის გამო, ვერ განვსაზღვრეთ აუცილებელი იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აღრიცხულ თუ აღურიცხავ მარაგებში, ასევე სრული შემოსავლისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებათა შესაბამის ელემენტებში 2022 და 2021 წლების 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის, ვინაიდან მარაგების ნაშთი მონაწილეობს ფინანსური შედეგებისა და ფულადი ნაკადების განსაზღვრაში.

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის ნაწილში - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“.

ჩვენ დამოუკიდებელი ვართ კომპანიისგან ბუღალტრეთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსისა და საქართველოში ფინანსური ანგარიშგების აუდიტის განხორციელებისას საჭირო ეთიკური ნორმების შესაბამისად. გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებითა და ბესს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც.

გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი პირობითი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

სხვა გარემოება

კომპანიის ფინანსური ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის არ არის აუდიტირებული. ჩვენ მოვიპოვეთ საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულება, რომ საწყისი ნაშთები არ მოიცავს უზუსტობებს, რომლებიც არსებით გავლენას ახდენს მიმდინარე პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაზე, გარდა იმ ელემენტებისა, რომელიც აღწერილია ჩვენი დასკვნის ნაწილში - „პირობითი მოსაზრების საფუძველი“.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე მის ფასს-ის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია კომპანიის ფუნქციონირებადობასთან და ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ის შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ის შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში.

გარდა ამისა, ჩვენ ასევე:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის მექანიზმებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სადირიგხო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული კომპანიის სადირიგხო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად კომპანიის ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორულ დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება.

- ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვა საკითხებთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

ანა გაბედავა, გარიგების პარტნიორი (SARAS-A-518332)

შპს „ნექსია ჯორჯია“ (SARAS-F-550338)

20 სექტემბერი, 2024

თბილისი, საქართველო

Member of Nexia International

- ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვა საკითხებთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

ანა გაბედავა, გარიგების პარტნიორი (SARAS-A-518332)

შპს „ნექსია ჯორჯია“ (SARAS-F-550338)

20 სექტემბერი, 2024

თბილისი, საქართველო



შპს „პიქსელ აუთდორი“
 სრული შემოსავლის ანგარიშგება
 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 (ქართულ ლარში)

	შენიშვნები	2023	2022
შემოსავალი	5	1,704,808	1,265,340
რეალიზაციის თვითღირებულება	6	(1,015,326)	(659,460)
საერთო მოგება		689,482	605,880
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	7	(627,384)	(464,716)
მარკეტინგული ხარჯები		(2,527)	(5,393)
საოპერაციო მოგება		59,571	135,771
ფინანსური ხარჯი, წმინდა	12	(171,029)	(84,319)
შემოსავალი სავალუტო ოპერაციებიდან, წმინდა	8	26,841	128,773
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	9	230,307	97,475
მოგება დაბეგვრამდე		145,690	277,700
მოგების გადასახადი		-	-
წლის წმინდა მოგება		145,690	277,700
სხვა სრული შემოსავალი		-	-
წლის მთლიანი სრული შემოსავალი		145,690	277,700

ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებული და ავტორიზებულია 2024 წლის 20 სექტემბერის შემდეგი პირს მიერ:

ნიკა ბოლქვაძე

დირექტორი

9-22 გვერდებზე დართული განმარტებითი შენიშვნები წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შპს „პიქსელ აუთდორი“

სრული შემოსავლის ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

	შენიშვნები	2023	2022
შემოსავალი	5	1,704,808	1,265,340
რეალიზაციის თვითღირებულება	6	(1,015,326)	(659,460)
საერთო მოგება		689,482	605,880
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	7	(627,384)	(464,716)
მარკეტინგული ხარჯები		(2,527)	(5,393)
საოპერაციო მოგება		59,571	135,771
ფინანსური ხარჯი, წმინდა	12	(171,029)	(84,319)
შემოსავალი სავალუტო ოპერაციებიდან, წმინდა	8	26,841	128,773
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	9	230,307	97,475
მოგება დაბეგრამდე		145,690	277,700
მოგების გადასახადი		-	-
წლის წმინდა მოგება		145,690	277,700
სხვა სრული შემოსავალი		-	-
წლის მთლიანი სრული შემოსავალი		145,690	277,700

ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებული და ავტორიზებულია 2024 წლის 20 სექტემბერის შემდეგი პირს მიერ:

ნიკა ბოლქვაძე

დირექტორი



9-22 გვერდებზე დართული განმარტებითი შენიშვნები წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შპს „პიქსელ აუთდორი“
 ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
 (ქართულ ლარში)

	შენიშვნები	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022	1 იანვარი 2022
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	10	1,929,560	1,843,725	1,093,761
არამატერიალური აქტივები		6,633	3,301	-
სულ გრძელვადიანი აქტივები		1,936,193	1,847,026	1,093,761
მიმდინარე აქტივები				
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	11	518,523	226,780	168,091
გადახდილი ავანსები	12	117,803	70,466	780,185
მარაგები	13	71,571	30,494	24,875
ფული და ფულის ეკვივალენტები	14	50,558	73,435	96,575
სულ მიმდინარე აქტივები		758,455	401,175	1,069,726
სულ აქტივები		2,694,648	2,248,201	2,163,487
გრძელვადიანი ვალდებულებები				
გრძელვადიანი სესხები	15	1,375,664	443,424	981,185
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		1,375,664	443,424	981,185
მიმდინარე ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	16	219,526	231,000	238,712
მიღებული ავანსები	17	23,514	304,878	142,320
საგადასახადო ვალდებულებები	18	21,013	29,136	23,559
მოკლევადიანი სესხები	15	271,779	602,301	417,949
სულ მიმდინარე ვალდებულებები		535,832	1,167,315	822,540
სულ ვალდებულებები		1,911,496	1,610,739	1,803,725
ვალდებულებები და კაპიტალი				
კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი		65,700	65,700	65,700
გაუნაწილებელი მოგება		717,452	571,762	294,062
სულ კაპიტალი		783,152	637,462	359,762
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		2,694,648	2,248,201	2,163,487

ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებული და ავტორიზებულია 2024 წლის 20 სექტემბერს შემდეგი პირის მიერ:

ნიკა ბოლქვაძე

დირექტორი

9-22 გვერდებზე დართული განმარტებითი შენიშვნები წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შპს „პიქსელ აუთდორი“
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ქართულ ლარში)

	შენიშვნები	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022	1 იანვარი 2022
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	10	1,929,560	1,843,725	1,093,761
არამატერიალური აქტივები		6,633	3,301	-
სულ გრძელვადიანი აქტივები		1,936,193	1,847,026	1,093,761
მიმდინარე აქტივები				
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	11	518,523	226,780	168,091
გადახდილი ავანსები	12	117,803	70,466	780,185
მარაგები	13	71,571	30,494	24,875
ფული და ფულის ეკვივალენტები	14	50,558	73,435	96,575
სულ მიმდინარე აქტივები		758,455	401,175	1,069,726
სულ აქტივები		2,694,648	2,248,201	2,163,487
გრძელვადიანი ვალდებულებები				
გრძელვადიანი სესხები	15	1,375,664	443,424	981,185
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		1,375,664	443,424	981,185
მიმდინარე ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	16	219,526	231,000	238,712
მიღებული ავანსები	17	23,514	304,878	142,320
საგადასახადო ვალდებულებები	18	21,013	29,136	23,559
მოკლევადიანი სესხები	15	271,779	602,301	417,949
სულ მიმდინარე ვალდებულებები		535,832	1,167,315	822,540
სულ ვალდებულებები		1,911,496	1,610,739	1,803,725
ვალდებულებები და კაპიტალი				
კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი		65,700	65,700	65,700
გაუნაწილებელი მოგება		717,452	571,762	294,062
სულ კაპიტალი		783,152	637,462	359,762
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		2,694,648	2,248,201	2,163,487

ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებული და ავტორიზებულია 2024 წლის 20 სექტემბერს შემდეგი პირის მიერ:

ნიკა ბოლქვაძე

დირექტორი



9-22 გვერდებზე დართული განმარტებითი შენიშვნები წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შპს „პიქსელ აუთდორი“
 საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება
 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 (ქართულ ლარში)

	სააქციო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
1 იანვარი 2022	65,700	294,062	359,762
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	-	277,700	277,700
31 დეკემბერი 2022 წელი	65,700	571,762	637,462
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	-	145,690	145,690
31 დეკემბერი 2023 წელი	65,700	717,452	783,152

ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებული და ავტორიზებულია 2024 წლის 20 სექტემბერს შემდეგი პირის მიერ:

ნიკა ბოლქვაძე

დირექტორი

9-22 გვერდებზე დართული განმარტებითი შენიშვნები წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შპს „პიქსელ აუთდორი“

საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

	სააქციო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
1 იანვარი 2022	65,700	294,062	359,762
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	-	277,700	277,700
31 დეკემბერი 2022 წელი	65,700	571,762	637,462
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	-	145,690	145,690
31 დეკემბერი 2023 წელი	65,700	717,452	783,152

ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებული და ავტორიზებულია 2024 წლის 20 სექტემბერს შემდეგი პირის მიერ:

ნიკა ბოლქვაძე

დირექტორი



9-22 გვერდებზე დართული განმარტებითი შენიშვნები წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შპს „პიქსელ ათდორი“
 ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება
 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 (ქართულ ლარში)

	შენიშვნა	2023	2022
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან:			
მოგება დაბეგრვამდე		145,690	277,700
შესწორებები შემდეგი მუხლებისთვის:			
ცვეთა და ამორტიზაცია	10	209,479	141,628
საპროცენტო ხარჯი, წმინდა	15	171,029	84,319
მოგება ძირითადი საშუალების რეალიზაციიდან	9	(229,978)	(98,244)
ფინანსური აქტივების გაუფასურება	11	15,941	4,016
წმინდა მოგება საკუროს სხვაობიდან		(26,841)	(128,773)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი სახსრები აქტივებსა და ვალდებულებებში მომხდარ ცვლილებებამდე		285,320	280,646
შემცირება/(ზრდა) საოპერაციო აქტივებში:			
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები		(303,341)	72,346
მარაგები		(41,077)	(5,619)
გადახდილი ავანსები		1,988	(11,953)
(შემცირება)/ზრდა საოპერაციო ვალდებულებებში:			
საგადასახადო ვალდებულება		(8,123)	5,577
მიღებული ავანსები		(281,364)	162,558
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები		(87,501)	(422)
საოპერაციო საქმიანობიდან შემოსული წმინდა ფულადი სახსრები		(434,098)	503,133
გადახდილი პროცენტი	15	(118,100)	(75,307)
წმინდა ფულადი ნაკადები მიღებული / (გამოყენებული) საოპერაციო საქმიანობაში		(552,198)	427,826
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებების შესყიდვა		(386,840)	(285,986)
ძირითადი საშუალებების შესაძენად გადახდილი ავანსები		(49,325)	-
არამატერიალური აქტივების შესყიდვა		(3,332)	(3,301)
ძირითადი საშუალებების გასვლით მიღებული თანხები		401,192	68,715
წმინდა ფულადი ნაკადები გამოყენებული საინვესტიციო საქმიანობაში		(38,305)	(220,572)
ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან			
აღებული სესხები	15	1,824,088	43,198
გადახდილი სესხები	15	(1,249,606)	(248,231)
წმინდა ფულადი ნაკადები მიღებული / (გამოყენებული) ფინანსურ საქმიანობაში		574,482	(205,033)
წმინდა ზრდა/(კლება) ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებში		(16,021)	2,221
ფულადი სახსრები წლის დასაწყისისთვის	14	73,435	96,575
უცხოური ვალუტის ცვლილების ეფექტი ფულად სახსრებზე		(6,856)	(25,361)
ფულადი სახსრები წლის ბოლოს		50,558	73,435

ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებული და ავტორიზებულია 2024 წლის 20 სექტემბერს შემდეგი პირის მიერ:

ნიკა ბოლქვაძე

დირექტორი

9-22 გვერდებზე დართული განმარტებითი შენიშვნები წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შპს „პიქსელ ათდორი“

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

	შენიშვნა	2023	2022
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან:			
მოგება დაბეგრვამდე		145,690	277,700
შესწორებები შემდეგი მუხლებისთვის:			
ცვეთა და ამორტიზაცია	10	209,479	141,628
საპროცენტო ხარჯი, წმინდა	15	171,029	84,319
მოგება ძირითადი საშუალების რეალიზაციიდან	9	(229,978)	(98,244)
ფინანსური აქტივების გაუფასურება	11	15,941	4,016
წმინდა მოგება საკუროს სხვაობიდან		(26,841)	(128,773)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი სახსრები აქტივებსა და ვალდებულებებში მომხდარ ცვლილებებამდე		285,320	280,646
შემცირება/(ზრდა) საოპერაციო აქტივებში:			
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები		(303,341)	72,346
მარაგები		(41,077)	(5,619)
გადახდილი ავანსები		1,988	(11,953)
(შემცირება)/ზრდა საოპერაციო ვალდებულებებში:			
საგადასახადო ვალდებულება		(8,123)	5,577
მიღებული ავანსები		(281,364)	162,558
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები		(87,501)	(422)
საოპერაციო საქმიანობიდან შემოსული წმინდა ფულადი სახსრები		(434,098)	503,133
გადახდილი პროცენტი	15	(118,100)	(75,307)
წმინდა ფულადი ნაკადები მიღებული / (გამოყენებული) საოპერაციო საქმიანობაში		(552,198)	427,826
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებების შესყიდვა		(386,840)	(285,986)
ძირითადი საშუალებების შესაძენად გადახდილი ავანსები		(49,325)	-
არამატერიალური აქტივების შესყიდვა		(3,332)	(3,301)
ძირითადი საშუალებების გასვლით მიღებული თანხები		401,192	68,715
წმინდა ფულადი ნაკადები გამოყენებული საინვესტიციო საქმიანობაში		(38,305)	(220,572)
ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან			
აღებული სესხები	15	1,824,088	43,198
გადახდილი სესხები	15	(1,249,606)	(248,231)
წმინდა ფულადი ნაკადები მიღებული / (გამოყენებული) ფინანსურ საქმიანობაში		574,482	(205,033)
წმინდა ზრდა/(კლება) ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებში		(16,021)	2,221
ფულადი სახსრები წლის დასაწყისისთვის	14	73,435	96,575
უცხოური ვალუტის ცვლილების ეფექტი ფულად სახსრებზე		(6,856)	(25,361)
ფულადი სახსრები წლის ბოლოს		50,558	73,435

ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებული და ავტორიზებულია 2024 წლის 20 სექტემბერს შემდეგი პირის მიერ:

ნიკა ბოლქვაძე

დირექტორი



9-22 გვერდებზე დართული განმარტებითი შენიშვნები წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შპს „პიქსელ აუთდორი“

ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული განმარტებითი შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

1. კომპანია და მისი საქმიანობა

შპს „პიქსელ აუთდორი“ (შემდგომში „კომპანია“) არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საწარმო დაარსებული 2011 წლის 27 ივნისს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. ის დარეგისტრირებულია თბილისის საგადასახადო ინსპექციის მიერ საიდენტიფიკაციო კოდით: 445398944. 2023 წლის თვევრვლამდე კომპანია ფუნქციონირებდა დასახელებით შპს „ლიბო“

კომპანიის მეწილეები წარმოდგენილი არიან შემდეგნაირად:

	2023	2022
სს პონტუს	100%	100%
	100%	100%

ძირითადი საქმიანობა

კომპანიის მთავარი საქმიანობა დაკავშირებულია სარეკლამო ბიზნესთან. კომპანია ფლობს ქალაქ ბათუმში განთავსებულ სტატიკურ ბანერებს, ციფრულ ბილბორდებს და სითილაითებს და მათი გაიჯარების საფუძველზე ახდენს შემოსავალს გენერირებას.

შპს პიქსელ აუთდორი-ს სარეგისტრაციო მისამართია: საქართველო, ქალაქი ბათუმი, ზ. გორგილაძის ქ. N92, ბ. 198.

საოპერაციო გარემო

კომპანია ძირითადად საქმიანობას საქართველოში ახორციელებს. ისეთი განვითარებადი ეკონომიკა, როგორც საქართველო, ექვემდებარება სწრაფ ცვლილებას და მოწყვლადია გლობალური საბაზრო პირობებისა და ეკონომიკური ვარდნის მიმართ. შედეგად, საქართველოში განხორციელებულ საქმიანობას შეიძლება ახლდეს რისკები, რომლებიც, როგორც წესი, უცხოა განვითარებული ბაზრებისთვის. მიუხედავად ამისა, გასული რამდენიმე წლის განმავლობაში საქართველოს მთავრობამ დაიწყო სამოქალაქო, სისხლის სამართლის, საგადასახადო ადმინისტრაციული და კომერციული რეფორმები, რამაც დადებითი გავლენა მოახდინა ზოგადად ქვეყნის საინვესტიციო კლიმატზე.

2022 წლის 24 თებერვალს დაიწყო რუსეთ-უკრაინის ომი, რომელმაც გავლენა მოახდინა არამარტო ევროპის რეგიონზე, არამედ მთელ მსოფლიოზე. უკრაინაში, ომის შედეგად, ბევრმა წამყვანმა ქვეყანამ და ეკონომიკურმა გაერთიანებამ გამოაცხადა მკაცრი ეკონომიკური სანქციები რუსეთზე და მოხდა რუსული რუბლის მნიშვნელოვანი გაუფასურება უცხოურ ვალუტებთან მიმართებაში, ასევე მნიშვნელოვანი დაკარგვა ფასიანი ქაღალდების ბაზრებზე. რუსეთი და სხვა ბაზრებზე ჩამოთვლილი რუსული კომპანიები. უამრავმა კომპანიამ გაიყვანა თავისი ბიზნესი რუსეთიდან და ბელორუსიიდან. სიტუაცია ჯერ კიდევ გაურკვეველია, მაგრამ მას უკვე მოჰყვა ჰუმანიტარული კრიზისი და მატერიალური ეკონომიკური ზარალი უკრაინის, რუსეთისა და დანარჩენი მსოფლიოსთვის.

აღნიშნულმა ომმა არსებითი გავლენა არ მოახდინა კომპანიის საქმიანობაზე, თუმცა, სამომავლო შედეგების პროგნოზირება რთულია; ხელმძღვანელობის ამჟამინდელი მოლოდინები და შეფასებები შეიძლება განსხვავდებოდეს რეალური შედეგებისგან.

2. მომზადების საფუძველი

ა) ზოგადი ინფორმაცია

კომპანიის ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მსს ფასს განყოფილება 35-ის („მსს ფასს-ზე გადასვლა“) მოთხოვნების შესაბამისად. კომპანიის მსს ფასს-ზე გადასვლის თარიღი არის 2022 წლის 1 იანვარი.

ფინანსური ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის, რომელიც წარმოადგენს პირველ სრულ ფინანსურ ანგარიშგებას, მომზადებულია კომპანიის მიერ, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი მცირე და საშუალო საწარმოებისათვის („მსს ფასს“) და ფინანსური ანგარიშგების ინტერპრეტაციის საერთაშორისო კომიტეტის („ფაისკ“) ინტერპრეტაციების შესაბამისად, რომელიც გამოცემულია ბუღალტრული სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს („ბსს“) მიერ.

ფინანსური ანგარიშგების მსს ფასს-ების შესაბამისად მომზადება ითხოვს გარკვეული შეფასებებისა და დაშვებების გაკეთებას. ის ასევე მოითხოვს კომპანიის ხელმძღვანელობისაგან, რომ მსჯელობის საფუძველზე მოახდინოს ყველაზე შესაფერისი სადრიცხო პოლიტიკის მიღება და დანერგვა.

შპს „პიქსელ აუთდორი“

ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული განმარტებითი შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

2. მომზადების საფუძველი (გაგრძელება)

ა) ზოგადი ინფორმაცია (გაგრძელება)

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკები მოცემულია ფინანსური ანგარიშგების მე-3 შენიშვნაში. სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენება ხორციელდება უწყვეტად ყველა წლისთვის, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

ბ) ფუნქციონირებადი საწარმო

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის საფუძველზე, იმის დაშვებით, რომ განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. ხელმძღვანელობას და დამფუძნებლებს სურვილი აქვთ, განაგრძონ საქმიანობა საქართველოში. ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის გამოყენებისთვის ხელმძღვანელობამ გაითვალისწინა კომპანიის საქმიანობა, მიზნები და სტრატეგია, ძირითადი რისკები და გაურკვევლობა მისი მიზნების მისაღწევად. ხელმძღვანელობამ მოამზადა ფინანსური პროგნოზი ფინანსური ანგარიშგების დამტკიცების დღიდან 12 თვის განმავლობაში. შესაბამისად, ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის საფუძველზე.

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

ქვემოთ აღწერილი არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები, რომელიც გამოყენებულია წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, თანმიმდევრულად ვრცელდება ყველა წარმოდგენილ პერიოდზე თუ სხვაგვარად არაა აღნიშნული.

ა) სამუშაო და წარსადგენი ვალუტა

ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ლარში, რაც კომპანიის სამუშაო და წარსადგენი ვალუტაა. უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები აღირიცხება სამუშაო ვალუტაში, რომლის კონვერტაცია ხდება ოპერაციის დღეს არსებული გაცვლითი კურსით.

ბ) უცხოური ვალუტის კონვერტაცია

უცხოურ ვალუტაში გამოხატული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების კონვერტაცია ლარში ხდება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გამოცხადებული და ანგარიშგების თარიღისთვის მოქმედი ოფიციალური გაცვლითი კურსით. უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციების კონვერტაციით გამოწვეული მოგება-ზარალი აღიარებულია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, როგორც უცხოური ვალუტის კონვერტაციით გამოწვეულ მოგებას გამოკლებული ზარალი-საკურსო სხვაობა.

საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური გაცვლითი კურსი, რომელიც გამოყენებულია ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას შემდეგია:

	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022	1 იანვარი 2022
1 USD/GEL	2.6894	2.7020	3.0892
1 EUR/GEL	2.9753	2.8844	3.4991

წლის საშუალო გაცვლითი კურსი	2023	2022
1 USD/GEL	2.6279	2.9156
1 EUR/GEL	2.8416	3.0792

გ) შემოსავალი

შემოსავალი აღიარდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების სამართლიანი ღირებულებით. შემოსავალი შემცირებულია მოსალოდნელი უკანდაბრუნებით, მოსალოდნელი ფასდაკლებებით და მსგავსი ანარჩებებით. კომპანია აღიარებს შემოსავალს, როდესაც შესაძლებელია შემოსავლის ოდენობის საიმედოდ შეფასება; და მოსალოდნელია მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში.

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

გ) შემოსავალი (გაგრძელება)

კომპანია მომხმარებელს სთავაზობს სარეკლამო აბრეშის, სტატიკური ბანერების, ციფრული ბილბორდების და სითილაითების იჯარის სერვისს და ახდენს შემოსავლის გენერირებას აღნიშნული მომსახურების გაწევით, რომლის აღიარება ხდება დროის განმავლობაში.

მომსახურების მიწოდების შედეგების საიმედოდ შეფასება მაშინ არის შესაძლებელი, თუ დაკმაყოფილებულია შემდეგი პირობები:

- ამონაგების თანხის განსაზღვრა შესაძლებელია საიმედოდ;
- მოცემული ოპერაციიდან მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა საწარმოში;
- შესაძლებელია მომსახურების მიწოდების ხელშეკრულების შესრულების სტადიის საიმედოდ შეფასება საანგარიშო პერიოდის ბოლოს; და
- შესაძლებელია მომსახურებაზე უკვე გაწეული და ხელშეკრულების მთლიანად შესრულებისათვის საჭირო დანახარჯების საიმედოდ შეფასება.

დ) ხარჯების აღიარება

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს.

ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, თუ ხარჯებისგან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარაა მოსალოდნელი ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ბალანსში აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

ე) მოგების გადასახადი

მოგების გადასახადის ხარჯი მოიცავს მიმდინარე გადასახადს, რომელიც არის საგადასახადო ვალდებულება პერიოდის დასაბეგრ მოგებაზე, დადგენილ საგადასახადო განაკვეთზე ანგარიშგების თარიღისთვის და საგადასახადო ვალდებულების ყველა შესწორება დაკავშირებულია წინა წლებთან. 2016 წლის 13 მაისს საქართველოს მთავრობამ ცვლილებები შეიტანა საქართველოს საგადასახადო კოდექსში, რომლის თანახმადაც კომპანიები (გარდა ბანკებისა, საკრედიტო გაერთიანებებისა, სადაზღვევო კომპანიებისა, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა და ლომბარდებისა) არ იხდიან მოგებიდან გადასახადს მათ მიერ 2017 წლის 1 იანვრიდან მიღებულ მოგებაზე, სანამ მოგება არ განაწილდება ან მიიჩნევა დივიდენდის სახით განაწილებულად.

15% მოგებიდან გადასახადი გადახდის ექვემდებარება ერთობლივი ღირებულებით (ანუ წმინდა დივიდენდები გადაანგარიშდება 5% გადასახადის დაქვითვით, თუ შეესაბამება, და გაყოფილი 0.85-ზე) ფიზიკური პირებისთვის და არარეზიდენტი იურიდიული პირებისთვის დივიდენდის გადახდის მომენტში. რეზიდენტი იურიდიული პირებისთვის 2017 წლის 1 იანვრამდე მიღებული მოგებიდან გადახდილი დივიდენდი გათავისუფლებულია გადასახადისგან. 2008 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 იანვრამდე დაგროვილ შემოსავალზე დივიდენდი ექვემდებარება მოგებიდან გადასახადს ერთობლივ ღირებულებაზე, შემცირებული შესაბამისი საგადასახადო შეღავათით, რომელიც გაანგარიშებულია, როგორც კორპორატიული მოგებიდან გადასახადის წილი, გაცხადებული და გადახდილი დაბეგვრად მოგებაზე მთლიანი წმინდა მოგების საპირისპიროდ იმავე პერიოდისთვის, გამრავლებული გასანაწილებელ დივიდენდზე. თუმცა, საგადასახადო შეღავათის ოდენობა არ უნდა აჭარბებდეს ფაქტობრივ მოგებიდან გადასახადს, რაც დაწესებულია დივიდენდის განაწილებაზე.

დივიდენდების განაწილებიდან მიღებული მოგებიდან გადასახადი აღირიცხება, როგორც მოგებიდან გადასახადის ხარჯი დივიდენდის გამოცხადების პერიოდში, მიუხედავად ფაქტობრივი გადახდის თარიღისა ან პერიოდისა, რომელზედაც დივიდენდი იხდება. მოგებიდან გადასახადის პირობითი ვალდებულება, რომელიც წარმოიშობა დივიდენდების გადახდისას, არ აღიარდება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში. დივიდენდების განაწილების გარდა, გადასახადი უნდა გადახდილი იქნას ხარჯებზე და სხვა გადასახადებზე, რომლებიც წარმოშობილია არა-ეკონომიკურ საქმიანობებთან დაკავშირებით, აქტივებისან მომსახურებების თავისუფალ მიწოდებაზე და წარმომადგენლობით ხარჯებზე, რომლებიც არ აჭარბებს საქართველოს საგადასახადო კოდექსით

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

(ე) მოგების გადასახადი (გაგრძელება)

დადგენილ მაქსიმალურ ოდენობას. შეღავათიანი საგადასახადო რეჟიმის მქონე იურისდიქციებში დარეგისტრირებული სუბიექტებისთვის გადახდილი ყველა ავანსი და სხვა ზოგიერთი ტრანზაქციები ასეთ სუბიექტებთან, აგრეთვე ფიზიკურ პირებზე და არარეზიდენტ იურიდიულ პირებზე გაცემული სესხები, ექვემდებარება დაუყოვნებელ დაბეგვრას. ასეთი გადასახადები სხვა გადასახადებთან ერთად, გამოკლებული საგადასახადო შეღავათები, რაც გაცხადებულია შეღავათიანი საგადასახადო რეჟიმის მქონე იურისდიქციებში დარეგისტრირებული სუბიექტებისთვის გადახდილი ყველა ავანსის სანაცვლოდ მიღებულ აქტივებზე ან მომსახურებაზე ან ფიზიკურ და არარეზიდენტ იურიდიულ პირებზე გაცემული სესხების ამოღებაზე, აღირიცხება სხვა გადასახადებში, საოპერაციო ხარჯების ფარგლებში. საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის თანახმად, კომპანიამ გადასახადები უნდა გადაიხადოს ერთიანი სახაზინო კოდიტ. შედეგად კომპანია წარადგენს საგადასახადო აქტივებსა და ვალდებულებებს ნეტო საფუძველზე, როგორც საგადასახადო აქტივი ან ვალდებულება.

(ვ) გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა

გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში რა პერიოდშიც წარმოიქმნება მავალდებულებელი მოვლენა. მავალდებულებელ მოვლენას წარმოადგენს ქმედება ან ფაქტი, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსით განაპირობებს გადასახადის გადახდას. წინასწარ გადახდილი გადასახადები, რომლიდანაც მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღიარდება აქტივად.

(ზ) ძირითადი საშუალებები

თავდაპირველი აღიარება

ძირითადი საშუალებები პირველადი აღიარებისას აღირიცხება თვითღირებულებით.

თვითღირებულება განისაზღვრება შესყიდვის ფასით, იმპორტთან დაკავშირებული გადასახადებით, გამოუქვითავი გადასახადებით და სხვა პირდაპირი ხარჯებით. როცა ძირითადი საშუალებების ჯგუფი შეიცავს სხვადასხვა კომპონენტებს, რომლებსაც გააჩნიათ სხვადასხვა სარგებლობის ვადები, ისინი აღირიცხებიან ცალ-ცალკე, როგორც ძირითადი საშუალებების ცალკეული კომპონენტები.

ძირითადი საშუალებები, რომელიც გამოიყენება ძირითადი საქმიანობისთვის, ადმინისტრაციული ან გაქირავებისთვის, ან არის მშენებარე მდგომარეობაში, აღრიცხულია მის თვითღირებულებასა და გაუფასურების ღირებულებას შორის სხვაობით. თვითღირებულება შეიცავს პირდაპირ ხარჯებს, რომელიც გათვალისწინებულია კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკით.

მოგება და ზარალი რომელიც წარმოიშობა აქტივის გაყიდვიდან ან ჩამოწმებიდან, განისაზღვრება სხვაობით მიღებული სარგებლისა და საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ხარჯები დაკავშირებულია ძირითადი საშუალებების კომპონენტების ჩანაცვლებასთან და აღრიცხულია დამოუკიდებლად, კაპიტალიზირდება იმ კომპონენტის საბალანსო ღირებულებასთან ერთად, რომელიც ჩამოწმებულ იქნა. სხვა დანახარჯები კაპიტალიზირდება იმ შემთხვევაში, თუ შესაძლებელია ეკონომიკური სარგებლის მიღება მომავალში. ყველა სხვა ხარჯი, მათ შორის შეკეთება-განახლება აღიარდება მოგება/ზარალის ანგარიშგებაში მისი მოხდენისთანავე.

აქტივის გამოყენების უფლება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოდგენილია ძირითად საშუალებებთან ერთად.

შემდგომი შეფასება /აღრიცხვა

აქტივად აღიარების შემდგომ ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულების მოდელით, შემცირებული დაგროვილი ცვეთით ან/და გაუფასურების ღირებულებით. ცვეთის დარიცხვა ხდება მოგება ზარალის ანგარიშგებაში წრფივი მეთოდის საშუალებით, თითოეული აქტივების სასიცოცხლო პერიოდის შეფასების საფუძველზე. ცვეთის დარიცხვა იწყება მას მერე, რაც აქტივი შედის გამოყენებაში. აქტივების სასიცოცხლო პერიოდი შემდეგნაირად ნაწილდება:

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

(ზ) ძირითადი საშუალებები (გაგრძელება)

ძირითადი საშუალებების ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა
შენობა-ნაგებობები	10-40
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	7
ავეჯი და სხვა ინვენტარი	5-14
მანქანა-დანადგარები	3-6
სატრანსპორტო საშუალებები	10
დაუმთავრებელი მშენებლობა	არ იცვითება

აქტივზე ცვეთის დარიცხვა მაშინ იწყება, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ, როდესაც აქტივი არის იმ ადგილას ან ისეთ სამუშაო მდგომარეობაში, რაც აუცილებელია აქტივის გამოსაყენებლად, ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნებისათვის. ცვეთა არ წყდება, როდესაც აქტივი გადადის მოცდენის რეჟიმში ან აღარ გამოიყენება აქტიურად, თუ აქტივი მთლიანად არ არის გაცვეთილი.

სასარგებლო მომსახურების ვადა მიმოხილვა ყოველი საანგარიშო წლის ბოლოს, ნებისმიერი ცვლილების ეფექტის გათვალისწინებით, პერსპექტიულად.

ძირითადი საშუალებების გასვლის შედეგად წარმოშობილი მოგება ან ზარალი განისაზღვრება საბალანსო ღირებულებისა და მიღებული თანხის შედარებით და ჩაირთვება სხვა შემოსავლების/ხარჯების კატეგორიაში, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

(თ) სასაქონლო-მატერიალური მარაგები

სასაქონლო-მატერიალური მარაგები აღირიცხება თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის ყველაზე დაბალი ღირებულებით. სასაქონლო მატერიალური მარაგების ღირებულება განისაზღვრება საშუალო შეწონილი მეთოდის გამოყენებით და შეიცავს დანახარჯებს, რომელიც დაკავშირებულია აქტივის შეძენასთან და მის არსებულ სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის ბიზნესის ჩვეულებრივ პირობებში საქმიანობისას არსებული აქტივის გასაყიდ ფასს გამოკლებული დანახარჯები, დაკავშირებული აქტივის გაყიდვასთან.

(ი) არაფინანსური აქტივების გაუფასურება

თითოეულ საანგარიშო პერიოდში, ძირითადი საშუალებები განიხილება, რათა დადგინდეს არსებობს თუ არა რაიმე მინიშნება, რომ ამ აქტივებმა განიცადა გაუფასურების დანაკარგი. თუ არსებობს მინიშნება შესაძლო გაუფასურებაზე, ნებისმიერი ასეთი აქტივის (ან მასთან დაკავშირებული აქტივის ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება შეფასდება და შედარდება მის საბალანსო მაჩვენებელთან, თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება არის უფრო მცირე, საბალანსო მაჩვენებელი შემცირდება მის შეფასებულ ანაზღაურებად ღირებულებამდე, და გაუფასურების დანაკარგი აღიარებული იქნება დაუყოვნებლივ მოგება-ზარალში.

თუ გაუფასურების დანაკარგი არაფინანსური აქტივებისათვის მითითებულია, აქტივის (ან მასთან დაკავშირებული აქტივთა ჯგუფის) საბალანსო ღირებულება იზრდება მისი ანაზღაურებადი ღირებულების კორექტირებულ შეფასებამდე, მაგრამ არა უმეტეს იმ თანხისა, რაც განსაზღვრული იქნებოდა აქტივისთვის (ან მასთან დაკავშირებული აქტივთა ჯგუფისთვის), რომელსაც არ ჰქონდა გაუფასურების დანაკარგი წინა წლებში. ადრე აღიარებული გაუფასურების დანაკარგის აღდგენა აღიარებული იქნება დაუყოვნებლივ მოგება-ზარალში.

(კ) ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური ინსტრუმენტები - თავდაპირველი აღიარება და შემდგომი შეფასება

ფინანსური ინსტრუმენტი არის ნებისმიერი ხელშეკრულება, რომელიც წარმოშობს როგორც ერთი საწარმოს ფინანსურ აქტივს, ასევე მეორე საწარმოს ფინანსურ ვალდებულებას ან წილობრივ ინსტრუმენტს.

ფინანსური აქტივები

თავდაპირველი აღიარებისას, ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება „შემდგომში ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული კატეგორიის მიხედვით ეფექტური საპროცენტო გაკანვეთის გამოყენებით.

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხლვა (გაგრძელება)

(კ) ფინანსური ინსტრუმენტები (გაგრძელება)

ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ყიდვა-გაყიდვის გარიგებების აღიარება ხდება გარიგების თარიღით აღრიცხვის მეშვეობით. ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში ყიდვა-გაყიდვის გარიგებები ნიშნავს ფინანსური აქტივების ისეთ ყიდვა გაყიდვას, რაც მოითხოვს აქტივების გადაცემას კანონმდებლობით ან საბაზრო პრაქტიკით განსაზღვრულ ვადაში. კომპანიის მიერ ფლობილი ფინანსური აქტივები მოიცავს ფულის და ფულის ექვივალენტებს, სავაჭრო მოთხოვნებს.

ეფექტური საპროცენტო მეთოდი არის ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების (ან ფინანსური აქტივების თუ ფინანსური ვალდებულებების ჯგუფის) ამორტიზებული ღირებულების გამოთვლისა და საპროცენტო შემოსავლების ან ხარჯების შესაბამის პერიოდში გადანაწილების მეთოდი. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომელიც ზუსტად ადისკონტირებს მომავალში მისაღებ ან გადასახდელ სავარაუდო ფულად სახსრებს ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი მომსახურების ვადის განმავლობაში, ან ფინანსური აქტივისა თუ ფინანსური ვალდებულებების წმინდა საბალანსო მოკლე პერიოდის განმავლობაში. ფინანსური აქტივებიდან მიღებული შემოსავლები აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთების გამოყენებით.

ფინანსური აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულებების არსებობის შემთხვევაში გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში. სავაჭრო მოთხოვნების საბალანსო ღირებულება მცირდება გაუფასურების რეზერვის ანგარიშის გამოყენებით. თუ სავაჭრო მოთხოვნები უიმედოდ ჩაითვლება, ჩამოიწერება გაუფასურების რეზერვის ანგარიშიდან. ჩამოწერილი თანხების შემდგომი აღდგენა ხდება გაუფასურების რეზერვის ანგარიშის კრედიტის მხარეზე ასახვით. გაუფასურების რეზერვის ანგარიშის საბალანსო ღირებულებაში ცვლილებების აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში.

ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა

კომპანია წყვეტს ფინანსური აქტივების აღიარებას, როდესაც იწურება ხელშკრულებით გათვალისწინებული უფლებები აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღებაზე ან როდესაც სხვა მხარეს გადასცემს ფინანსურ აქტივს და ამ აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებულ თითქმის ყველა რისკსა და სარგებელს. ფინანსური აქტივის აღიარების სრულად შეწყვეტის შემთხვევაში, აქტივის საბალანსო ღირებულებას, მიღებულ თანხას, დებიტორულ დავალიანებას და სხვა სრულ შემოსავალში აღიარებულ და კაპიტალში დაგროვილ ჯამურ შემოსავალს ან ზარალს შორის არსებული სხვაობის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში.

(ლ) ფული და ფულის ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები შედგება ნაღდი ფულისგან სალაროში და ბანკებში განთავსებულ მიმდინარე ანგარიშებზე არსებული ფულისგან, რომლებიც ექვემდებარება ფასის შეცვლის მცირედ რისკს. ფული და ფულის ეკვივალენტები აღრიცხულია ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით. კომპანია ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტების გაუფასურებას ახდენს მსს ფასს განყოფილება 11-ის შესაბამისად.

(მ) მიღებული სესხები

მიღებული სესხების საპროცენტო ხარჯები რომლებიც პირდაპირ მიეკუთვნება აქტივის შეძენას, აშენებას ან წარმოებას, რასაც აუცილებლად სჭირდება დროის დიდი პერიოდი, რათა მზად იყოს თავისი ფუნქციური გამოყენებისათვის ან გაყიდვისათვის, კაპიტალიზდება, როგორც შესაბამისი აქტივის ღირებულების ნაწილი. ყველა სხვა სასესხო ხარჯები ჩაითვლება ხარჯებში იმ პერიოდისათვის, როდესაც ისინი ხორციელდება. სასესხო ხარჯები შედგება სარგებლისა და სხვა ხარჯებისგან, რასაც პირი გასწევს თანხების სესხებასთან დაკავშირებით. კომპანიას მიღებული სესხები აქვს ფინანსური ინსტიტუტებიდან ძირითადი საქმიანობების დასაფინანსებლად. დამატებითი დეტალები მიღებული სესხების შესახებ განხილულია მე-15 შენიშვნაში.

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხლვა (გაგრძელება)

(ნ) მიმდინარე და გრძელვადიანი მუხლები

კომპანიამ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში განცალკევებულად ასახა აქტივები და ვალდებულებები მიმდინარე/გრძელვადიანი კლასიფიკაციის საფუძველზე. კომპანიამ აქტივი განიხილა როგორც მოკლევადიანი თუ იგი:

- ▶ აქტივს ძირითადად ფლობს სავაჭრო დანიშნულებით;
- ▶ აქტივის ღირებულების რეალიზებას ვარაუდობს, ან მიზნად ისახავს მის გაყიდვას ან მოხმარებას ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში;
- ▶ აქტივის ღირებულების რეალიზებას ვარაუდობს საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ თორმეტი თვის განმავლობაში; ან
- ▶ აქტივი არის ფულადი სახსრები ან ფულადი სახსრების ექვივალენტი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მისი გაცვლა ან ვალდებულების დასაფარად გამოყენება შეზღუდულია საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ სულ მცირე თორმეტი თვით მაინც.

სხვა დანარჩენი აქტივები კლასიფიცირებულია როგორც გრძელვადიანი აქტივები.

ვალდებულება მოკლევადიან ვალდებულებად მიიჩნევა თუ:

- ▶ მისი დაფარვა მოსალოდნელია ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში;
- ▶ ძირითადად, გამოიყენება სავაჭრო დანიშნულებით;
- ▶ უნდა დაიფაროს საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ 12 თვის განმავლობაში; ან
- ▶ საწარმოს არ გააჩნია ვალდებულების დაფარვის გადავადების უპირობო უფლება, საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ სულ მცირე 12 თვის განმავლობაში.

სხვა დანარჩენი ვალდებულებები კლასიფიცირებულია როგორც გრძელვადიანი ვალდებულებები.

(ო) მიღებული ავანსები

მიღებული ავანსები აღირიცხება გადახდის ფაქტობრივი ღირებულებით, გამოკლებული გაუფასურება. საავანსო გადახდები კლასიფიცირებულია, როგორც გრძელვადიანი, როდესაც მოსალოდნელია, რომ საავანსო გადახდებთან დაკავშირებული საქონელი ან მომსახურებები მიღებული იქნება ერთ წლის შემდეგ, ან როდესაც წინასწარი გადახდები უკავშირდება აქტივს, რომელიც თავად იქნება პირველადი აღიარებისას კლასიფიცირებული, როგორც გრძელვადიანი. აქტივების შესაძენი წინასწარი გადახდები გადადის აქტივის საბალანსო ღირებულებაში, როდესაც კომპანია მოიპოვებს აქტივზე კონტროლს ან მოსალოდნელია, რომ აქტივთან დაკავშირებული სამომავლო ეკონომიკური სარგებელი შევა კომპანიაში. სხვა საავანსო გადახდები ჩამოიწერება მოგება-ზარალში, როდესაც მიღებულია საავანსო გადახდებთან დაკავშირებული საქონელი ან მომსახურება. თუ არის იმის ინდიკატორები, რომ საავანსო გადახდებთან დაკავშირებული აქტივი, საქონელი და მომსახურება არ იქნება მიღებული, საავანსო გადახდების საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება შესაბამისად და შესაბამისი გაუფასურების ზარალი აღიარდება წლის მოგება-ზარალში.

(პ) ანარიცხები და პირობითი ვალდებულებები

პირობითი ვალდებულებები არ აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიაშიდან, და შესაძლებელია ამ ვალდებულების საიმედოდ შეფასება. პირობითი ვალდებულებების შესახებ ინფორმაცია მოცემულია ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში, გარდა ისეთი პირობითი ვალდებულებებისა, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიაშიდან არ არის მოსალოდნელი.

ფინანსურ ანგარიშგებაში არ აისახება პირობითი აქტივები. მაგრამ ისეთი ფინანსური აქტივების შესახებ ინფორმაცია, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში შესაძლებელია, აისახება განმარტებით შენიშვნებში. იმ შემთხვევაში, თუ კომპანიას აქვს რწმუნება, რომ ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში, მაშინ მასთან დაკავშირებული აქტივი და შემოსავალი აისახება იმ პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში, როდესაც ადგილი ჰქონდა შეფასების ცვლილებას.

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

(პ) ანარიცხები და პირობითი ვალდებულებები (გაგრძელება)

ანარიცხი წარმოადგენს ვალდებულებას, რომელიც დაკავშირებულია რაოდენობრივ და დროით განუსაზღვრელობებთან. ვალდებულება წარმოადგენს კომპანიის მიმდინარე ვალდებულებას, რომელიც წარმოიშვა წარსული მოვლენის შედეგად, და რომლის დაფარვა გამოიწვევს კომპანიიდან ეკონომიკური სარგებლის გასვლას. მავალდებულებელი მოვლენა არის მოვლენა, რომელიც წარმოშობს სამართლებრივ ან კონსტრუქციულ ვალდებულებას, რაც გულისხმობს, რომ კომპანიას არ გააჩნია სხვა რეალური ალტერნატივა, და მან უნდა დაფაროს თავისი ვალდებულებები. სამართლებრივი ვალდებულება გამომდინარეობს:

- გარიგებიდან (ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ან ნაგულისხმევი პირობების გათვალისწინებით);
- კანონმდებლობიდან; ან
- სხვა სამართლებრივი ქმედებიდან. კონსტრუქციული ვალდებულება გამომდინარეობს კომპანიის ქმედებიდან, სადაც:
- წარსულში დადგენილი პრაქტიკიდან, კომპანიის მიერ გამოქვეყნებული პოლიტიკიდან ან სპეციფიკური მიმდინარე ანგარიშგებიდან გამომდინარე, კომპანია მიანიშნებს სხვა მხარეებს, რომ იგი იღებს გარკვეულ პასუხისმგებლობებს; და
- შედეგად, მესამე მხარეს კომპანიასთან მიმართებაში გააჩნია გარკვეული მოლოდინი, რომ იგი შეასრულებს ამ პასუხისმგებლობებს.

(ჟ) საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები

კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადება მოითხოვს ხელმძღვანელობისგან ისეთ შეფასებებს და დაშვებებს, რომლებიც გავლენას ახდენს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოდგენილი აქტივებისა და ვალდებულებების ოდენობაზე და წლის ბოლოს სრული შემოსავლის ანგარიშგებაში წარმოდგენილ შემოსავალსა და ხარჯებზე. შეფასებებისა და დაშვებების გადახედვა ხდება უწყვეტად. ეს შეფასებები და დაშვებები ეყრდნობა წარსულ გამოცდილებასა და მრავალ სხვა ფაქტორს, რომლებიც გარემოებათა გათვალისწინებით მიზანშეწონილად მიიჩნევა. ფაქტობრივი შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს ამგვარი შეფასებებისგან სხვადასხვა დაშვებებისა თუ პირობების მიხედვით. ქვემოთ მოცემულია შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მნიშვნელოვანია კომპანიის ფინანსური მდგომარეობისთვის და ფინანსური შედეგებისთვის.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები

ძირითადი საშუალებები იცვითება მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა ხდება ხელმძღვანელობის შეფასებებზე დაყრდნობით, თუ რა პერიოდის განმავლობაში მოელის კომპანია აქტივიდან სარგებლის მიღებას. სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებებმა შეიძლება მნიშვნელოვანი ცვლილებები გამოიწვიოს საბალანსო ღირებულებებსა და პერიოდის სრული შემოსავლის ანგარიშგების მუხლებში. სააღრიცხვო შეფასებებში ცვლილება აღირიცხება პერსპექტიულად.

5. შემოსავალი

შპს პიქსელ აუთდორის შემოსავლები 2023 და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგი სახით:

	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
შემოსავალი იჯარებიდან	1,507,863	1,093,632
შემოსავალი რეალიზიციიდან	172,710	167,554
სხვა შემოსავლები	24,235	4,154
სულ შემოსავლები	1,704,808	1,265,340

შპს „პიქსელ აუთდორი“

ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული განმარტებითი შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

6. რეალიზაციის თვითღირებულება

2023 და 2022 წლების 31 დეკემბრის მდგომარებით, შპს პიქსელ აუთდორის მომსახურების/რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება წარმოდგენილია შემდეგი სახით:

	2023	2022
საიჯარო ქირა	504,464	285,612
ცვეთა და ამორტიზაცია	185,909	119,147
მომსახურების ხარჯები	161,589	132,472
ნედლეული და საბეჭდი მასალები	99,005	82,544
ხელფასი და მასთან დაკავშირებული ხარჯები	64,359	39,685
სულ რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	1,015,326	659,460

7. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები 2023 და 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლებისთვის წარმოდგენილია შემდეგი სახით:

	2023	2022
შრომის ანაზღაურება	359,206	300,228
მომსახურების ხარჯები	74,329	18,128
საკონსულტაციო ხარჯები	48,744	49,792
იჯარის ხარჯი	48,376	17,523
ცვეთა და ამორტიზაცია	23,570	22,481
საგადასახადო ხარჯი, გარდა მოგების გადასახადისა	16,704	12,195
საექვო და უიმედო ვალების რეზერვის ხარჯი	15,941	4,016
კომუნალური ხარჯები	1,491	1,059
სხვა ადმინისტრაციული ხარჯები	39,023	39,294
სულ საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	627,384	464,716

8. შემოსავალი სავალუტო ოპერაციებიდან, წმინდა

უცხოური ვალუტის ოპერაციებიდან მიღებული შემოსავალი 2023 და 2022 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2023	2022
კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული მოგება	88,821	164,826
კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული ზარალი	(61,980)	(36,053)
სულ შემოსავალი სავალუტო ოპერაციებიდან, წმინდა	26,841	128,773

9. სხვა არასაოპერაციო შემოსავალი, წმინდა

სხვა არასაოპერაციო შემოსავალი, წმინდა 2023 და 2022 წლების 31 დეკემბერს დასრულებული წლებისთვის წარმოდგენილია შემდეგი სახით:

	2023	2022
ძირითადი საშუალების რეალიზაციიდან მიღებული მოგება	229,978	98,244
სხვა შემოსავლები	3,968	1,000
საურავი და სხვა ხარჯები	(3,639)	(1,769)
სულ სხვა არასაოპერაციო შემოსავალი, წმინდა	230,307	97,475

შპს „პიქსელ აუთდორი“

ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული განმარტებითი შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

10. ძირითადი საშუალებები

კომპანიის ძირითადი საშუალებები 2023 წლის 31 დეკემბრის, 2022 წლის 31 დეკემბრის და 2022 წლის 1 იანვრის მდგომარეობით შემდეგია:

ისტორიული ღირებულება	შენიშნა- ნაგებობები	დაუმთავრებელი მშენებლობა	ბილბორდები და მონიტორები	იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	ავეჯი და სხვა ინვენტარი	მანქანა- დანადგარები	სატრანსპორტო საშუალებები	სულ
2022 წლის 1 იანვარი	185,954	200	1,047,550	9,474	106,165	804	24,438	1,374,585
შემოსვლა	-	988,986	-	14,172	4,500	-	-	1,007,658
შიდა მოძრაობა	-	(989,186)	989,186	-	-	-	-	-
გასვლა	-	-	(175,928)	-	-	-	-	(175,928)
2022 წლის 31 დეკემბერი	185,954	-	1,860,808	23,646	110,665	804	24,438	2,206,315
შემოსვლა	-	426,628	-	19,959	13,483	3,210	-	463,280
შიდა მოძრაობა	-	(417,871)	417,871	-	-	-	-	-
გასვლა	(185,954)	-	-	-	(25,871)	(227)	-	(212,052)
2023 წლის 31 დეკემბერი	-	8,757	2,278,679	43,605	98,277	3,787	24,438	2,457,543
დაგროვილი ცვეთა								
2022 წლის 1 იანვარი	(13,998)	-	(205,879)	(2,963)	(49,104)	(417)	(8,463)	(280,824)
ცვეთა	(4,649)	-	(115,438)	(2,512)	(16,411)	(174)	(2,444)	(141,628)
გასული ძირითადი საშუალების ცვეთა	-	-	59,862	-	-	-	-	59,862
2022 წლის 31 დეკემბერი	(18,647)	-	(261,455)	(5,475)	(65,515)	(591)	(10,907)	(362,590)
ცვეთა	(4,636)	-	(175,619)	(8,526)	(17,512)	(742)	(2,444)	(209,479)
გასული ძირითადი საშუალების ცვეთა	23,283	-	-	-	20,587	216	-	44,086
2023 წლის 31 დეკემბერი	-	-	(437,074)	(14,001)	(62,440)	(1,117)	(13,351)	(527,983)
წმინდა საბალანსო ღირებულება								
1 იანვარი 2022	171,956	200	841,671	6,511	57,061	387	15,975	1,093,761
31 დეკემბერი 2022	167,307	-	1,599,353	18,171	45,150	213	13,531	1,843,725
31 დეკემბერი 2023	-	8,757	1,841,605	29,604	35,837	2,670	11,087	1,929,560

შპს „პიქსელ აუთდორი“

ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული განმარტებითი შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

11. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

კომპანიის სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 2023 და 2022 წლის 31 დეკემბრის და 2022 წლის 1 იანვრის მდგომარეობით შედგება:

	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022	1 იანვარი 2022
სავაჭრო მოთხოვნები	616,695	309,011	246,306
გაუფასურების რეზერვი	(98,172)	(82,231)	(78,215)
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	518,523	226,780	168,091

შემდეგი ცხრილები გვიჩვენებს სავაჭრო მოთხოვნების ვადაგადაცილებას და მოსალოდნელი ზარალების განაკვეთს 2023 და 2022 წლებისთვის:

2023	ვადაგადაცილება დღეებში							
მოსალოდნელი	მიმდინარე	1-30	30-60	61 - 120	121 - 180	181 - 365	> 365	სულ
ზარალების განაკვეთები	0%	1%	6%	15%	50%	70%	100%	
საბალანსო ღირებულება	336,259	107,383	75,922	400	3,064	9,056	84,611	616,695
გაუფასურების რეზერვი	-	1,074	4,556	60	1,532	6,339	84,611	98,172

2022	ვადაგადაცილება დღეებში							
მოსალოდნელი	მიმდინარე	1-30	30-60	61 - 120	121 - 180	181 - 365	> 365	სულ
ზარალების განაკვეთები	0%	1%	6%	15%	50%	70%	100%	
საბალანსო ღირებულება	189,083	16,449	17,286	3,629	3,873	476	78,215	309,011
გაუფასურების რეზერვი	-	164	1,038	544	1,937	333	78,215	82,231

სავაჭრო და სხვა მოთხოვნების გაუფასურების რეზერვის მოძრობა წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2023	2022
1 იანვრის მდგომარეობით	82,231	78,215
რეზერვის ზრდა	19,988	4,016
ზარალის ამობრუნება	(4,047)	-
31 დეკემბრის მდგომარეობით	98,172	82,231

12. გადახდილი ავანსები

კომპანიის გადახდილი ავანსები 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 117,803 ლარს; 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 70,466 ლარს, 2022 წლის 1 იანვრის მდგომარეობით 780,185 ლარს. გადახდილი ავანსების უმეტესი ნაწილი წარმოადგენს ძირითადი საშუალების შესაძენად გადახდილ თანხებს.

შპს „პიქსელ აუთდორი“

ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული განმარტებითი შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

13. მარაგები

კომპანიის მარაგები 2023, 2022 წლების 31 დეკემბრის და 2022 წლის 1 იანვრის მდგომარეობით შედგება:

	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022	1 იანვარი 2022
სათადარიგო ნაწილები	31,459	1,920	1,628
ნედლეული და საბეჭდი მასალები	29,137	11,057	21,691
სასაჩუქრე მარაგი	9,246	16,773	-
სხვა მარაგი	1,729	744	1,556
სულ მარაგები	71,571	30,494	24,875

14. ფული და ფულის ეკვივალენტები

2023 და 2022 წლის 31 დეკემბრის და 2022 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაში, ფული და ფულის ეკვივალენტები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022	1 იანვარი 2022
ნადდი ფული ეროვნულ ვალუტაში	-	-	240
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	50,558	49,341	21,901
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	-	24,094	74,434
სულ ფული და ფულის ეკვივალენტები	50,558	73,435	96,575

15. მიღებული სესხები

კომპანიის მიღებული სესხები 2023, 2022 წლის 31 დეკემბრის და 2022 წლის 1 იანვრის მდგომარეობით შემდეგია:

კონტრაგენტი	ვალუტა	პროცენტი	დაწყების თარიღი	დასრულების თარიღი	31 დეკ 2023	31 დეკ 2022	1 იან 2022
სს საქართველოს ბანკი	აშშ დოლარი	11.42%	12-მარ-21	12-ივლ-26	410,249	534,184	712,448
სს საქართველოს ბანკი	აშშ დოლარი	9.10%	30-ივლ-21	16-მაი-23	-	417,388	644,744
სს პონტუსი	ლარი	16.37%	01-აპრ-23	30-მარ-30	937,243	-	-
სს პონტუსი	აშშ დოლარი	8.00%	17-ოქტ-22	15-ოქტ-29	200,027	-	-
ფ.პ. ირაკლი ვარშალომიძე	ლარი	17.98%	17-თებ-21	31-დეკ-24	77,166	68,242	16,992
ფ.პ. ირაკლი ვარშალომიძე	აშშ დოლარი	5.00%	23-ოქტ-20	31-დეკ-24	22,758	25,911	24,950
სულ					1,647,443	1,045,725	1,399,134

მიღებული სესხების მოძრაობა 2023 და 2022 საანგარიშგებო წლებში შემდეგია:

	2023	2022
საწყისი ნაშთი	1,045,725	1,399,134
სესხის მიღება	1,824,088	43,198
დარიცხული პროცენტი	171,029	84,319
სესხების დაფარვა	(1,249,606)	(248,231)
გადახდილი პროცენტი	(118,100)	(75,307)
საკურსო სხვაობის ცვლილების გავლენა	(25,693)	(157,388)
საბოლოო ნაშთი	1,647,443	1,045,725

16. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაში, სავაჭრო და სხვა ვალდებულებები, 2023 და 2022 წლის 31 დეკემბრის და 2022 წლის 1 იანვრის მდგომარეობით მოცემულია შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022	1 იანვარი 2022
სავაჭრო ვალდებულებები	207,194	224,374	222,430
გადასახდელი ხელფასები	12,332	6,626	16,282
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	219,526	231,000	238,712

17. მიღებული ავანსები

კომპანიის მიღებული ავანსები 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 23,514 ლარს; 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 304,878 ლარს, 2022 წლის 1 იანვრის მდგომარეობით 142,320 ლარს.

18. საგადასახადო ვალდებულებები

საგადასახადო ვალდებულებები გარდა მოგების გადასახადისა წარმოდგენილია წმინდა საფუძველზე საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ გაცემული ბრძანების N 407 შესაბამისად. შპს პიქსელ აუთდორი-ს საგადასახადო ვალდებულებები 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 21,013 ლარს, 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 29,136 ლარს, ხოლო 2022 წლის 1 იანვრის მდგომარეობით შეადგენს 23,559 ლარს.

19. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები ან ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან, როგორც განსაზღვრულია განყოფილება 33-ით „შენიშვნები დაკავშირებული მხარეების შესახებ“, წარმოადგენს:

მხარეებს, რომლებიც პირდაპირ ან ირიბად ერთი ან მეტი შუამავლის მეშვეობით: აკონტროლებს ან კონტროლდება, ან არის საერთო კონტროლის ქვეშ დაქვემდებარებული კომპანია (მათ შორის, მშობლები, შვილობილი კომპანიები და თანამზრახველები); ფლობს წილს კომპანიაში, რომელიც აძლევს მნიშვნელოვანი გავლენის შესაძლებლობას და რომელსაც აქვს კომპანიაზე ერთობლივი კონტროლი;

- პარტნიორი საწარმო - საწარმოები, რომლებზეც კომპანიას აქვს მნიშვნელოვანი გავლენა და რომელიც არ არის არც შვილობილი კომპანია და არც ერთობლივი საწარმო.
- ერთობლივი საწარმოები, სადაც კომპანია წარმოადგენს საწარმოს;
- კომპანიის ან მისი მშობლის მმართველი პერსონალი.
- ოჯახის ახლო წევრები, რომელიც ნახსენებია (ა) ან (დ)-ში;
- მხარე, რომელიც კონტროლდება, ერთობლივად კონტროლდება ან განიცდის მნიშვნელოვან გავლენას, ან რომელზეც მნიშვნელოვანი ხმის უფლება აქვს, პირდაპირ ან ირიბად, (დ) ან (ე)-ში ნახსენებ ინდივიდუალებს.
- დასაქმების შემდგომი შეღავათების სისტემა თანამშრომლებისთვის ან მხარისთვის, რომელიც არის დაკავშირებული კომპანია.

შპს „პიქსელ აუთდორი“

ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული განმარტებითი შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

19. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან (გაგრძელება)

დაკავშირებულ მხარეებთან არსებული ნაშთები და ტრანზაქციები 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გამოიყურება შემდეგნაირად:

2023	დედა კომპანია	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოები	სხვა დაკავშირებული მხარე
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება			
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	-	140,900	1,438
აღებული სესხები	1,136,323	-	-
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	-	-	10,227
	1,136,323	140,900	11,665
სრული შემოსავლის ანგარიშგება			
შემოსავალი	-	864,324	-
რეალიზაციის თვითღირებულება	-	68,157	-
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	-	2,088	19,383
საპროცენტო ხარჯი	106,584	-	-
	106,584	934,569	19,383

დაკავშირებულ მხარეებთან არსებული ნაშთები და ტრანზაქციები 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გამოიყურება შემდეგნაირად:

2022	დედა კომპანია	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოები	სხვა დაკავშირებული მხარე
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება			
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	-	2,639	1,438
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	-	-	36,979
	-	2,639	38,417
სრული შემოსავლის ანგარიშგება			
შემოსავალი	-	-	1,218
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	-	-	17,474
	-	-	18,692

უმაღლესი ხელმძღვანელობის ხელფასი 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის შეადგინს 52,921 ლარი, ხოლო 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის - 116,980 ლარს.

20. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ადგილი ჰქონდა შემდეგ არამაკორექტირებელ მოვლენებს:

- საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ კომპანიამ დაკავშირებული მხარისგან დამატებით აიღო სესხი 59,000 ლარის ოდენობით და საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ გადახდილი სესხების რაოდენობა ფინანსური ინსტიტუტის მიმართ შეადგენს 114,145 ლარს, ხოლო დაკავშირებული მხარის მიმართ 393,662 ლარს.